•2021 წელს დაცვის პოლიციაში მნიშვნელოვნად განახლდა ავტოპარკი. შეძენილია: ოპერატიული რეაგირების ჯგუფების და მოძრავი ტვირთების დაცვა - გაცილებისათვის 25 ერთეული მსუბუქი ავტომანქანა, 30 ერთეული ოპერატიული დანიშნულების სპეციალიზებული პიკაპი, 1 სპეციალიზებული სატვირთოს ტიპის დაჯავშნილი ავტომანქანა, 8 დაჯავშნილი „ფორდის“ და 2 „ივეკოს“ მარკის ავტომობილი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს გადასცა 2 ერთეული „ფორდ ინტერსეპტორის“ მარკის ავტომანქანა;

•ფუნქციონირება დაიწყო გურჯაანის განყოფილების შენობამ;

•კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა ქობულეთის დაცვის პოლიციის განყოფილებას;

• დაცვაში არსებულ ობიექტებთან რეგიონული სამმართველოების და ცენტრალური მართვის პულტთან ოპერატიული რეაგირების ჯგუფების კავშირის გაუმჯობესების მიზნით, 2021 წელს შეძენილია „MOTOROLA TETRA“-ს სისტემის შემდეგი მოწყობილობები: 10 ცალი საბაზო რადიოსადგური, 90 ცალი საავტომობილო რადიოსადგური,450 ცალი ხელის რადიოსადგური.

•ბორჯომის მუნიციპალიტეტში დასრულდა ტაბაწყურის ბაზის მშენებლობა. ბაზა აღიჭურვა ანალიტიკური ფუნქციის მქონე ციფრული სამეთვალყურეო ვიდეოსისტემებით;

• მოეწყო ახალი საგუშაგოები;

• ცხრაწყაროსა (ბორჯომის მუნიციპალიტეტი) და წალკაში დეპარტამენტის ბაზებზე ჩატარდა სარემონტო სამუშაოები;
• დეპარტამენტის პირადი შემადგენლობისთვის შეძენილ იქნა „HAIX“-ის ტიპის ზამთრისა და ზაფხულის მაღალყელიანი ფეხსაცმელები და სამთო აღჭურვილობა;
• დეპარტამენტს სამინისტროსგან გადაეცა 4 ერთეული „Mistubishi L200“;
• წლის განმავლობაში სტრატეგიული მილსა დენების დეპარტამენტის თანამშრომლებმა გაიარეს სხვადასხვა ტიპის სწავლებები:
•უწყებათშორისი სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი 2021”, რომელიც მოიცავდა საშტაბო და საველე კომპონენტებს. სწავლება საომარ და კრიზისულ სიტუაციაში სამთავრობო უწყებებს შორის კოორდინაციის გაღრმავებისა და ურთიერთქმედების დახვეწას ემსახურება;
•სამეთაურო-საშტაბო სამმხრივი სწავლება „ETERNITY-2021“, რომლის სცენარი ემყარება სამშვიდობო ოპერაციებს, რომლებიც კრიზისული სიტუაციის დროს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის უსაფრთხოების დაცვას, ასევე, აზერბაიჯანულ, თურქულ და ქართულ სამხედრო ქვედანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის ამაღლებას ითვალისწინებს;
• სწრაფი რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა გაიარეს სამთო მომზადების ზაფხულის საბაზისო კურსი, თავდაცვის სამინისტროს პოლკოვნიკ ბესიკ ქუთათელაძის სახელობის საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში. დაცვის პოლიცია სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტი შემდეგი მოწყობილობები: 10 ცალი საბაზო რადიოსადგური, 90 ცალი საავტომობილო რადიოსადგური, 450 ცალი ხელის რადიოსადგური.